საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 392 2017 წლის 11 აგვისტო ქ. თბილისი

„ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებაში (სსმ, №103, 24/08/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის:

1.48-ე მუხლის 5[1] პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5[1]. სააგენტოს მიერ დამზადებული მერქნული რესურსის საკუთრებაში გაცემის მიზნით გამართული ელექტრონული აუქციონის საწყისი საორიენტაციო ფასი (დღგ-ის ჩათვლით) ყოველწლიურად დგინდება სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების საექსპერტო დასკვნის საფუძველზე.“.

2. 59-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ცხოველთა თავშესაფრებისა და სანაშენეების მოწყობის წესი მტკიცდება მინისტრის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.“.

საქართველოს
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
№ 15153
14 08 2017 წ.

3. 60[1] მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) ცხოველთა თავშესაფრებისა და სანაშენეების მოწყობა (მერქნიანი მცენარეების მოჭრის გარეშე, დროებითი შენობის ან/და ნაგებობის განთავსების უფლებით): სახელმწიფო ტყის ფონდის (გარდა დაცული ტერიტორიებისა) ჭალის ტყეებში, მდინარეების, წყლის არხების (გარდა სასმელი წყლის არხებისა) გასწვრივ ნაპირიდან 300 მეტრამდე სიგანის ტყის უბნებში, დაცვითი ტყის ზოლებში.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი